

საქართველი

საერთოული გაზეთი

სამუშაოთი 30 მარტი 1999 №56 (829)

ფასი 1 ლარი

საქართველოს
საგარეო
აღმართვის
მინისტროს
ინფორმაციის
სამსახური

დიდი სპორტსმენის დღე, სახლი და ქუჩა



გივი კარტოვიას სსოგნას გუშინ ბევრმა ადამიანმა მიაგო პატივი, სპორტსმენებმაც, კულტურის მოღვაწეებმაც...

გუშინ თბილისში, საბურთალოს ქუჩის 57 ნომერში, სახლში, სადაც მსოფლიოს პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ბერძულ-რომაულ ჭიდაობაში და სპორტის ამ სახეობაში ქართველთა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გივი კარტოვია ცხოვრობდა, ხალხმრავლობა იყო — გუშინ დიდ ფაღვანს 70 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღის აღსანიშნავად სახლთან შეკრებილმა გივი კარტოვიას მეგობრებმა, სპორტისა და კულტურის მოღვაწეებმა, პოლიტიკოსებმა კიდევ ერთხელ მოიგონეს გივი კარტოვია, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თაოსნობით სახლს გაუკეთეს მემორიალური დაფა, თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით კი საბურთალოს ქუჩას ამიერიდან გივი კარტოვიას სახელი ეწოდება.

EURO 2000						
ჩვენის ჯგუფი						
ნორვეგია	4	2	1	1	7:6	7
ლატვია	3	2	0	1	4:2	6
საბარკანთი	4	1	2	1	4:4	5
სლოვენია	4	1	2	1	5:5	5
საქართველო	4	1	1	2	2:5	4
აღმართი	3	0	2	1	2:3	2

იხილეთ მეოთხე გვერდი

ბაი-ბაი, ევროპა!



საქართველო — სლოვენია 1:1. ქართველთა სინანული და სლოვენიელთა სიხარული

სენსაცია

ნოსე ანტონიო კამაჩო:
ავსტრია ცუდი გუნდი არ
არის, უბრალოდ, მოხდა
ისე, რომ ძალიან
ვაჯობეთ...

ავსტრია — ავსტრია 9:0

როდემდე გაბრძელდება

უილიამსების უოუ?
ვინუსის და სერენას მამას
ერთი ჰამბურგერის ფული
არ ჰქონდა

უძილაურის 42 ქულა

სდასუ-მ დამატებით დროში
101:95 დაამარცხა „ვიტა“

პატარა ტონგა დიდია

საქართველოში კი რაბბის
უყურებენ, მხოლოდ უყურებენ



ტონგის ნაკრები ქართველი მორაგბეებისთვის დაუძლეველი ზღუდე აღმოჩნდა

...მომდევნო ეტაპზე
ტონგა ვაფიდა.
შეგვეძლო კი
ტონგელების იმ
ანგარიშით დამარცხება,
მეტოქეს ორი მატჩის
ჯამში რომ
დაგვაჯაბნინებდა?
თამაშის დასაწყისით თუ
ვიმსჯელებთ, ალბათ, კი.
თუმცა უფრო
რომ ჩაფურცლავდეთ,
ვნახავთ, რომ წყნარ
ოკეანეში მიკარგული
კუნძულის ბინადართა 32
ქულით მძლეველნი არ
ვიყავით.

იხილეთ მეორე გვერდი

კარბად, ცუდად, უღობიროდ...

საქართველო — სლოვენის შაბათის მატჩს თანაჯული მხვერავები ისევ ნყვილად დაესწრნენ. ისევე როგორც სექტემბერში, ალბანელებთან თამაშზე, ნორვეგიელთა მხრით ნილს სემმა ახლაც თავისი თანაშემწე ალფ გუსტაფსონი გამოავაჯენა, ბერძენთა ან ყოფილმა თავაკცმა ანგელ იორდანესკუმ კი კონსტანტინ პოლიქრონიუ.

მატჩის შემდეგ მცირე ინტერვიუზე უარი არც ერთს უთქვამს. ან კი რატომ იტყვიან, მეტოქეთა გაყოფილი ქულებით ხომ ორივე ერთობ კმაყოფილი დარჩა.

ალფ გუსტაფსონი:

— გამკვირვებია ქართველების, ამდენი ძლიერი ფეხბურთელი გვათ და ქულებს ქულებზე ჰკარგავთ. ამ ფეხბურთელების პოტენციალს ბოლომდე ვერ იყენებთ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს გუნდმა არ იცის, რა აკეთოს — გუსტაფსონმა მხრები აიჩქრა.

— რისი ბრალია საქართველოს ნაკრების უფერული თამაში?

— ვერაფერს ვეუბნები. ალბათ, შესაბამისი ტაქტიკით არ თამაშობთ. როცა ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევარი მეტოქე გვათ, ფეხბურთელები იბნევიან, ალარც მათი ინდივიდუალიზმი ჩანს. იმპროვიზაცია გაკლიათ.

— სლოვენისთან ფრის მიზეზიც ვაქვია?

— რა თქმა უნდა. მეტოქემ თავისუფლება არ მოგცათ, მიუღწეოდა ნუ პრესინგი გეთამაშათ. თუმცა წასაგები მატჩი შეიძლება მოგვეთქვინა. მეორე ტაიმში გოლი რომ სწრაფად არ გასულიყო, მოედანზე ქიქილბედი იყო და, ალბათ, თამაშს დასაწყობებდა. მას ხომ ბურთის დაჭერა, პასები ჩინებულად ეხერხება.

— ნორვეგიელ ფეხბურთელებს ძალისმიერად სათამაშოდ დამოძღვრა არ სჭირდებათ. თქვენებურები ხომ ისედაც ასე თამაშობთ. თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე კი გამოდის, ქართველებთან სამი ქულა უკვე ჭიბეში გაქვთ. ასეა?

— არა. ჩვენს თამაშამდე კიდევ ერთი თვეა. ალბათ, შესაბამის დასკვნებს გააკეთებთ. ერთი წაგებაც და ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩებით. შანსებს


თანაბრად ვაფასებ. ჩვენს სიძლიერეს თქვენი მასპინძლობა გააბათილებს.

— საქართველოს ნაკრებს შანსი კიდევ დარჩა?

— იმის მიუხედავადაც კი, საბერძნეთ — ნორვეგიის მატჩი რა ანგარიშით დამთავრდება, პირველობა შეგიძლიათ, ოღონდ დანარჩენი თამაშები წაუგებლად უნდა ჩაატაროთ, თუმცა მეტად გაგიჭირდებათ.

— ქართველებიდან ვის გამოყოფდით?

— დემეტრაძეს და ჯანაშიას. ორივე ძლიერი თავდასხმეულია.



ნორვეგიელი გუსტაფსონი და ბერძენი პოლიქრონიუ თბილისს და ეროვნულ სტადიონს მხვერავებად მეორედ ეწვივნენ

ევროპა უფრო ოცნებაა

მატჩის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები რა ხასიათზეც იქნებოდნენ, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია. მათ ლაპარაკის სურვილიც გაქრობოდათ. ან კი რა ჰქონდათ სათქმელი. ის კი არა, ბევრ მათგანს გასახდელიდან აუტობუსამდე გასავლელი გზაც მძიმე ტვირთად დასწოლიდა... იყო თხოვნანარევი უარი, უმიდოდ ჩაქნული ხელები და დაღლილი, საოცრად დაღლილი სახეები.

მხოლოდ ნაკრების კაპიტანი, გიორგი ნემსაძე გამოგვესაუბრა — რა უნდა ვთქვა, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ საშინლად გულგატეხილი ვარ. ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად თეორიული შანსი და-

გვრჩა, ეს კი უფრო ოცნებაა, ვიდრე სინამდვილე. მატჩის წინ საბრძოლოდ ვიყავით განწყობილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ეს საქმეს არ შევლის. მეტოქემ მოსალოდნელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველი ტაიმის შემდეგ გულგება დემეტრაძეს ნახევარდაცვაში ჩაწვეა დაავალა. ქინქლაძის შემოსვლით ერთმანედ ხუთი ნახევარმცველით შეუღლებით თამაშს, მაგრამ ამანაც არ გამართლა. სიმართლე გითხრათ, შესვენებაზე მითითება მივიღეთ, რომ ანგარიშის შენარჩუნებაზე გვეთამაშა. შეიძლება სწორიც იყო, მაგრამ გადაჭრით არაფრის თქმა შემიძლია, დასკვნები თავად გააკეთეთ.

გაბატა გვანტალიანი



ქართველთა შერთვა სლოვენელთა ლიბერო-კაპიტანმა დარკო მილიანიმა (№4) მოიგერია



პრესკონფერენსია

სრემკო კატანევი — სლოვენის ნაკრების მწვრთნელი:

— მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დამთავრდა. ძალიან გავვიჭირდა ქართველების წინააღმდეგ სტუმრად თამაში. ამ ქულას ნამდვილად ვიმსახურებდით. ჩემმა გუნდმა პირველი ტაიმი კარგად ჩაატარა და რამდენიმე საგოლე მომენტიც გვქონდა. როცა შესვენებაზე მივლიდი, ვფიქრობდი, რომ მეორე ნახევარში აუცილებლად გავიტანდით გოლს. ჩემი განწყობილება ბიჭებსაც გადაედო. მინდა, მაგონება უთხრა მათ და ასევე მთელ ქართველ ხალხს გულთბილი მასპინძლობისათვის.

— ტაქტიკური თვალსაზრისით რა დარღვევა მიეცით ფეხბურთელებს შესვენებებზე?

— განსხვავებული არაფერი მითქვამს. ყველამ კარგად ვიცოდით მდგომარეობის სირთულე. მჯეროდა, რომ არჩეული ტაქტიკა მაინც გაამართლებდა და ანგარიშს გავათანაბრებდით. თუმცა ბედამც გავვიღობა, რომ ეს მეორე ნახევარის დასაწყისში მოვახერხეთ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

— ნოვაკი და გალიჩი რომ გყოლოდათ, მაინც პრესინგს მიმართავდით?

— ნოვაკის არყოფნა დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის, თუმცა მონარული ვარ, რომ კნაუსმა კარგად ვართვა თავი დავალებას და მარჯვნივ პრობლემები ნაკლებად გვქონდა. ლიბერო გალიჩის შემცვლელმაც გამართლა. პრესინგს კი ყველა ვარიანტში მივმართავდით.

— მოგვბაც თავისუფლად შეგეძლოთ თუ შანსიც მოგემატებოდათ...

— კარგად იცით საფეხბურთო კანონი — თუ არ გაიტან, გაგიტანენ. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ თბილისში ორი ქულა არ დავკარგავ. აი, რომ წაგვეგო, ეს იქნებოდა ძალიან ცუდი. ჯგუფიდან გასვლის შანსებს კი ჯერ-ჯერობით ყველა გუნდი ინარჩუნებს.

— ქართველებიდან ვინ მოგეწონათ?

— იმდენად ვიყავი კონცენტრირებული ჩემს გუნდზე, რომ თქვენებს ნაკლებად ვამჩნევდი. თუმცა ილიჩი (დემეტრაძე) მაინც გამოირჩეოდა...

პრესკონფერენსიაზე საქართველოს ნაკრების თავაკცი ვლადიმერ გუსტაფი არ გამოუხატა. იგი მისმა თანაშემწემ — სერკო კუტიშაძემ შეცვალა.

— პირველი ტაიმი წავაგეთ, მიუხედავად იმისა, რომ გოლი გავიტანეთ. გუნდურ თამაშში აშკარად გვაჯობეს სლოვენელებმა. მეორე ნახევარში შედარებით უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ საუბედუროდ, ბურთი გაუშვეით და...

— მეტოქემ რა სიურპრიზი შემოგთავაზათ?

— აშკარად ჩამოვრჩით თანამედროვე ფეხბურთს. სლოვენიაც ერთი თავით ჩვენზე მაღლა დგას. ვგულისხმობ გუნდურ თამაშს, მოედანზე სწრაფად მოქმედებას, ფიქრის დროს არავინ იბღემა, ყველაფერი წამის მგასელებში ხდება, მარტო ტექნიკა საკმარისი არაა. აი, ამ კომპონენტებში აშკარად გვაჯობა მეტოქემ. სლოვენიელთა რიგებში ვერავის გამოვიყოფ დანარჩენებთან. მთელი გუნდი ძლიერად თამაშობდა, შეთანხმებულად მოქმედებდა. ჩვენ კი ახლანდელი უფრო დაცვა

გადამი კაითილბაჩის ფოტო

გადამი კაითილბაჩის ფოტო



REUTERS კომენტარებიდან



დანია — იტალია 1:2. დამაბული და თვალსასვირო შეხვედრა გამოდგა, ასეთი მომენტები კი ხშირი იყო.

II ჯგუფი

დანია 1:2 იტალია

0:1 ინაბი (1), 1:1 სანდი (58), 1:2 კონტე (70)
დანია: შმაიხელი, გოლდბეი (კოლდინგი 85), პენრიკსენი, პოგი, პაინცე, პელდერი, ნილსენი (ტოფინგი 79), ტომსენი, გრონკიერი (მოლარი 55), იორგენსენი, სანდი
იტალია: ბუფონი, პანუჩი, მალდინი, დი ბაჯო, კანავარო, ნესტა, ფუბერი (კონტე 46), დ. ბაჯო, ინაბი, კიხა (ტობი 65), დი ფრანცესკო
იტალიამ უნიშენლოვანესი შეხვედრა მოიგო — დიბო დოფის ნაკრებმა კოპენჰაგენში მოპოვებული გამარჯვებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ.
დაგეგმვებით, დანიელთა სტუმრად დამარცხება ადვილი სულაც არაა. იტალიამ კი ეს ძველი საქმე შეასრულა — „სკუადრა ატურა“ პირველი შესარჩევი ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია. მომდევნო ორ შესარჩევი მატჩს იტალიის ნაკრები შინ მართავს — ოთხშაბათს ბელარუსს მასპინძლობს, ხოლო ივნისში უელსს. ამ თამაშებში ფავორიტად, ცხადია, აქნინებული არიან მიჩნეული და გამარჯვებას მათ უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ვერ გადახტი და ჰომერე დაიხსნა, ნათქვამია...
— საგურის განადგობაზე საუბარი ვერ ადრეა. ჩვენს გუნდს ყველაფერი წინ აქვს — განაცხადა დიბო დოფმა.
იტალიას წინ ხუთი თამაში ელის, გასაუღლებელი გზა კი კარგად გაიარა.
...7 აპრილს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში ტურინის „იუვენტუსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება. ის, რომ იტალიელთა ორი გოლი სწორედ იუვენტუსელებმა ფილიპო ინაბიმ და ანტონიო კონტემ გაიტანეს, ყურადსაღებია.
როგორც წესი, პირველ წუთზე გოლი იშვიათად გადის. დანია კი სტუმარ იტალიას სწორედ პირველ წუთზე ჩამორჩა. ნაკრების დებოუტანტის, იესპერ გრონკიერის პირველი შეხება ბურთთან საბედისწერო აღმოჩნდა — ამსტერდამის „აიაქსის“ თავდამსხმელმა ბურთი ნელა გაუგორა შმაიხელს, ამ დროს კი ინაბიმ, რომელიც იქვე იყო, პასი ჩაჭრა და გოლიც გაიტანა — 0:1

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards. Rows include Norway, Latvia, Serbia, Slovakia, Kazakhstan, and Albania.

ჩრდ. ირლანდია 0:3 გერმანია
0:1, 0:2 ბოდე (11,32) 0:3 მოროუ (62ს.კ.)
ჩრდ. ირლანდია: ტელორი, პეტროსონი, ულიამსი, მოროუ, პორლოკი, გილესპი (მაკარტი 84), ლენონი (სონერი 68), ლომასი, პიუზი, დაუი, როულენდსი (კენედი 68)
გერმანია: კანი, მათეუსი (ნოვოტნი 46), ვიორნსი, ბაბელი, პაინრიხი, შტრუნცი, პამანი, იერემისი, ბოდე (პრეტი 78), ბიროფი, ნიუვილი (იანკერი 68)

ბელფასტში გამარჯვების შემდეგ ალაპარკდნენ გერმანიის ნაკრებმა კრიზისიდან თავი დაიხსნაო, ჩრდილო ირლანდიელთა მწვერული, ლორი მაკმენემი კი ფრიად დადონდა, რადგან მატჩის დასაწყისში მის გუნდს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა და თამაშის ასე გაგრძელებას აღარ ელოდა.
„ძალიან ვწუხვარ ჩემს ბიჭებს ასეთი რამ რომ შეეძინათ. ისინი სამი გოლის სხვაობით წაგებას აშკარად არ იმსახურებდნენ“ — თქვა მან.
აღსანიშნავია, რომ 1982 წლის მერე ეს გუნდები განგებამ ექვსჯერ შეახვედრა ერთმანეთს და ამ ექვსი თამაშიდან გერმანელებმა მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს.

„ბოლო დღეებში ჩვენს ვარჯიშებს რომ ვაკვირდებოდი, ვხედავდი, რომ თითოეულ ფეხბურთელს გამარჯვება სწყურდა. სწორედ ასე მოხდა კიდევ ყველაფერი. შედეგით უფროდ კმაყოფილი ვარ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეხვედრის საწყის 10 წუთში მასპინძლებმა ძალიან შემოვიტყეს“ — განაცხადა გერმანიის ნაკრებისა და „მილანის“ ცნობილმა თავდამსხმელმა ოლივერ ბიროფმა.
„გერმანიის ნაკრების წევრობა თავისთავად ნიშნავს უდიდეს პასუხისმგებლობას და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. თან, ბოლო რამდენიმე მატჩი ხვირანად ვერ ჩავატარეთ, რის გამოც ზეწოლა გაორმაგებული გვექონდა. ჩრდილო ირლანდიელთა შეხვედრაში ანგარიში რომ გავხსენით, მერე ყველაფერს ადვილი მივუჩინეთ და საჭეველად დავამტკიცეთ, რომ ვერ კიდევ საშიში გუნდი გვყავს“ — დასძინა დიტმარ ჰამანმა.

„დაიხ ვაიმარჯვეთ, მაგრამ არა ოსტატურად, რადგან ჩრდილო ირლანდიანთა რომ მოიგო ძირითადად უნდა იბრძოლო. ანგარიშიც შესაფერის დროს გავხსენით. მოკლედ ცუდი თამაში არ ყოფილა, მაგრამ დიდებულს ვერაფრით დაგარქმევ დიდი ანგარიშით მოგებაში ილაღმა შეგვიწყო ხელი“ — ასეთი გახლდათ გერმანიის ნაკრების მწვერულის ერის რიბეკის აზრი.
რიბეკმა, რომელსაც გერმანული პრესა დაცვის ზედმეტ სიყვარულსა და ბებერი ვარსკვლავებისადმი სიმპათიაში ხშირად სდებს ბრალს, საწინააღმდეგოს დამტკიცების მიზნით ანდრეას მიოლერი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.
„ეს იყო დიდებული წარმატება. აქ ჩემს თვზე არ ვლავარაკობ, გუნდი მყავს მხედველობაში. ბებერი რამ გექონდა და სამტკიცებელი ფლორიდაში შერცხვენიც შემდეგ და ვგონებ დავატყიცეთ კიდევ ახლა, მომავალს ოპტიმიზმით შევყურებთ“ — იმედიანად ისაუბრა მასპინძელთა კარში ორი გოლის ავტორმა მარკო ბოდემ.
„შეგახსენებთ, რომ ფლორიდაში გერმანელებმა 0:3 წააგეს აშშ-სთან, ხოლო კოლუმბიასთან 3:3 ითამაშეს.

დაისტან რომ მოიგო ძირითადად უნდა იბრძოლო. ანგარიშიც შესაფერის დროს გავხსენით. მოკლედ ცუდი თამაში არ ყოფილა, მაგრამ დიდებულს ვერაფრით დაგარქმევ დიდი ანგარიშით მოგებაში ილაღმა შეგვიწყო ხელი“ — ასეთი გახლდათ გერმანიის ნაკრების მწვერულის ერის რიბეკის აზრი.

რიბეკმა, რომელსაც გერმანული პრესა დაცვის ზედმეტ სიყვარულსა და ბებერი ვარსკვლავებისადმი სიმპათიაში ხშირად სდებს ბრალს, საწინააღმდეგოს დამტკიცების მიზნით ანდრეას მიოლერი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

„ეს იყო დიდებული წარმატება. აქ ჩემს თვზე არ ვლავარაკობ, გუნდი მყავს მხედველობაში. ბებერი რამ გექონდა და სამტკიცებელი ფლორიდაში შერცხვენიც შემდეგ და ვგონებ დავატყიცეთ კიდევ ახლა, მომავალს ოპტიმიზმით შევყურებთ“ — იმედიანად ისაუბრა მასპინძელთა კარში ორი გოლის ავტორმა მარკო ბოდემ.

„შეგახსენებთ, რომ ფლორიდაში გერმანელებმა 0:3 წააგეს აშშ-სთან, ხოლო კოლუმბიასთან 3:3 ითამაშეს.

თურქეთი 2:0 ირლანდია

0:1 პაქან შუქური (34), 2:0 იალჩინი (90)
თურქეთი: რუმუზო, ფათიმი, ოგუნი, ტაიფური, ალფაი, ერქანი, ოქან ბურუქი, თუგაი (აქმანი 85), პაქან შუქური, იალჩინი, ოქანი (პამი 9, არიფი 74)
ირლანდია: დინოვი, ფინტიკანი, რებევა, ტამანოვი, გუზუნი, სტრონევი, შიშინი, სტრაბულატი, გაიდაშაშუვი, ეპურეანუ, კლუმენკო (სუხარევი 81)
გაძეგება: შიშინი (60)
თურქებმა ანგარიში 34-ზე წუთზე პაქან შუქურის ხსარტი თაურით გახსნეს, ხოლო მას მერე რაც ავსტრიელმა მსაჯამ კონრად პლაუტცმა მოედინიდან ოლეგ შიშინი გააძევა, სტუმართა საქმე ერთიორად გაჭირდა.

IV ჯგუფი

ანდორა 0:2 ისლანდია

0:1 სვერისონი (58), 0:2 ადოლფსონი (67)
ანდორა: ალვარესი, რამირესი (გონსალესი 77), გარსია, მარტინი, ლიმა, პოლი, სონეხე, ხიმენესი (სანჩესი 73), ლუკანდო, რუისი (იმბერნონი 83)
ისლანდია: ბ. კრისტინსონი, პეღვასონი, გუნდარსონი (გუნდარსონი 70), იონსონი, ადოლფსონი, რ. კრისტინსონი, გუნაღვასონი (გუნდარსონი 81), სვერისონი (გრეტარსონი 70), ტორ-



ჩრდ. ირლანდია — გერმანია 0:3. მასპინძელი სტივ ლომასი და სტუმარი, მატჩის გმირი მარკო ბოდემ

REUTERS



მარცხნივ ბულგარელი ივანოლო პეტკოვია, მარჯვნივ ბელგიელი ერიკ დეფლანდრე — ბრძოლა უშედეგადად გახლდათ

ბელგია 0:1 ბულგარეთი
0:1 იოვოვი (10)
ბელგია: გახმერჩიჩი, უენი (დეფლანდრე 75), დე ბრული, დე ბეკი, ლეონარდი, ბასევილი (ლანსენი 51), ვილმოტსი, ვალემი, ოლივეირა (მ. მენენა 81), ე. მენენა (ვან უდტი 81), მარტენსი
ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშვი, მარკოვი, სტოიანოვი (ი. პეტროვი 74), იორდანიოვი, კირილოვი, პეტროვი (გრუევი 79), სტოიჩკოვი (ივანოვი 28), იოვოვი (ტოდოროვი 66), მ. პეტკოვი (ნიკოლოვი 7), ილიევი (ბორიმიროვი 56)
ქორეა 1:0 ბრაზილია
1:0 დო პონ კიმი (90)

ბოიკოტი არ უეიკლება

უეფამ განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს იმ იუგოსლავიელ ფეხბურთელებს, რომლებიც პოლიტიკური მოსაზრებით საკლუბო შეჯიბრებებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას აპირებენ.
ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის თქმით, იგი სიმპატიით ეკიდება ამ მოთამაშეთა განცხადებას მათი სამშობლოს ნატოს ძალების მიერ დაპყრობის გამო, მაგრამ: „პოლიტიკისა და ფეხბურთის არევა არ შეიძლება“.
ევროპის ქვეყნების უმეტესს ლიგებში გასულ შაბათ-კვირას შეხვედრები არ გამართულა, რადგან ამ დღეებში ერთმანეთს ეროვნული ნაკრებები ეჯიბრებოდნენ. სამაგიეროდ, თამაშები ჩვეულებრივ ჩატარდა დაბალ დივიზიონებში. ამჯერად სწორედ აქ მოთამაშე იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა მიიღეს თავიანთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მოწოდება ბოიკოტთან დაკავშირებით. ინგლისურ „კრისტალ პალასში“ მოთამაშე საშა ჩურჩინი „ბრედფორდის“ წინააღმდეგ არ გავიდა მოედანზე და თან მცირე დემონსტრაციაც მოაწყო. მოედანს შემოუარა პლაკატით „ნატომ დაპყრობა შეწყვიტოს“. იმ მოთამაშეებმა, ვინც მანძი მიიღეს მატჩებში მონაწილეობა, შავი სამკლავები შემოირტყეს მაისურებზე.
უეფა ბელგრადში დარეკვას (თუ ეს შესაძლებელია) და იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციასთან საუბარსაც აპირებს.

შსკანეთი

Table with 2 columns: Match details (teams, scores, goalscorers) and player statistics (goals, assists).

Table with 2 columns: Match details (teams, scores, goalscorers) and player statistics (goals, assists).

ჰოლანდია

Table with 2 columns: Match details (teams, scores, goalscorers) and player statistics (goals, assists).

ინგლისი

Table with 2 columns: Match details (teams, scores, goalscorers) and player statistics (goals, assists).

იტალია

Table with 2 columns: Match details (teams, scores, goalscorers) and player statistics (goals, assists).

სარბიელი სპორტული ლატარია "CROCO"

Large table listing sports equipment prices for various categories like football, basketball, and tennis.

მითო არ გაგვიპართლა?

სოსო პარჭიკანაშვილი:

— შერკინების ხაზმა კარგად ითამაშა, დანარჩენები კი ხელით თამაშში მოიკვლებოდნენ.

ნიკა იურიანი:

— საწყის 15—20 წუთში ამკარად ვაჯობთ, მაგრამ უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ. მეტოქემ თამაშის დასაწყისში არაფრისგან გაგვიტანა ლელო, რამაც ფსიქოლოგიურად გაგეტყუა. ტონგა ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან მოგებაც დიდი საქმეა.

ბია ლაბაძე სხვათა დარად ხიროშადარი ჩანდა:

— რაც შეგვეძლო, ყველაფერი გააკეთეთ, მაგრამ არ გავიძარტოლა...

— მომეჩვენა, გუნდი მოედანზე აფორიაქებული გავიდა...

— ჩვენ გავედით მოსაგებად. თანაც რაც შეიძლებოდა, მეტი ქულით უნდა მოგვეყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

წყალებით გულდაწყვეტილი ვანო ნაღრიამ მწვრთნელთა გადაწყვეტილებითაც განცვიფრებული იყო, ვერ გავგო, რატომ არ ათამაშეს:

— მატჩი ძირითადად პირველი ტაიმში უნდა მოგვეყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ვფიქრობ, ტაქტიკური შეცდომებიც იყო. ვგულისხმობ ვათამაშებულ ჯარიმებს. ალბათ ბევრი მათგანის დარტყმა აჯობებდა. ერთი ხანობა არეულებმა თამაშშიც ვერ დავალაგეთ. პირადად ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო, მაყურებლად რომ აღმოვჩნდი. აქ სათამაშოდ ჩამომიყვანეს, მაგრამ შემადგენლობაში არ დამაყენეს.

მიზეზი?

— ეგ მეც მანტრერებს, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

ქუჩურ ჩხუბში მეტოქის მინდორზე გამოტრიალებელმა მალხაზ ურჯუკაშვილმა საუბარი „გმირული თვითგვემით დაიწყო“:

— ნაკრებში თამაშის ღირსი არა ვარ. ძალიან ვნანობ, რომ ვინც უბე არ ვიცი, სადისციპლინო კომიტეტი როგორ დამსჯის, მაგრამ ნაკრებში კარგა ხანს ვეღარ მიხილავთ.

როცა მოედანზე გადიოდით, სხვებთან ერთად შენც ლამის კანკალებდი. ეს ტონგელთა სიძლიერის შეგრძნებასთან ერთად საკუთარი სისუსტის აღქმის ბრალიც ხომ არ იყო?

— ასე იყო. ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ (ბურძღვა) მოდებოდა ეროვნული სტადიონის გასახველის კუთხეში ღრმად ჩაფიქრებული მიმდგარიყო. კითხვაზე კითხვით მიმიგო: უმძიმესია შეგრძნება იმისა, რომ ვერ გავედით.

ჩემს ადავილას თქვენ რას იტყვით?

— **თუნდაც იმას, შეასრულა თუ არა გუნდმა თქვენი დავალები...**

— ყველაფერი მაგრამ ტონგა ძლიერი გუნდია.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა ზამბიძე:

— ჩვენი ნაკრებისგან ამკარად მეტს ველოდი, რადგან ტონგა ასეთი ძლიერი არ მეგონა. ცხელ გულზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთთა დამარცხება დიდი საქმეა. ეს ჩვენს აქტივში პლუსად ჩაიწერება.

— **მაგრამ ტონგას ხომ სავსებით აძლევდა ხელს ასეთი ანგარიში...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ნურც ჩვენს ბიჭებს დავუკარგავთ თავისას. ჩემი აზრით, შერკინებაში პრობლემა არაა, ვაჯობთ, მაგრამ ტონგელებმა მაინც იმით მოგვიგეს, რაც ჩვენთვის ტრადიციულად „აქილევსის ქუსლია“ — უკანა ხაზში. მათ სასარგებლოდ საგრძობი განსხვავება ტექნიკასა და ფიზიკურ მომზადებაში...

— **თქვენი აზრით, შეგვეძლო დღეს ტონგელთა დამარცხება?**

— ეგ დამოკიდებულია შემსრულებლებზე, რომლებიც დღეს ამ დონისაინი არ გვაყავს. თანაც უკანახაზელები ახალგაზრდები და გამოუცდლები არიან. მეტოქე ამითაც გვევლიდა.

საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **ზაზა ქანასაშვილი**:

— ტონგა ძლიერი გუნდია. მათი მოთამაშეები წამყვანი სარაგბო ქვეყნების წამყვან კლუბებში თამაშობენ. ამ ქვეყნის ისეთი ძლიერი მორაგბე აღუზრდა, როგორც ვინა ლომუა. ჩვენთან შედარებით მათ ზურგს რაგბის დიდი ტრადიციებიც უმადრებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია. ჩვენმა ნაკრებმა კი სულ რაღაც წელიწადნახევარში მიაღწია პროგრესს. მუშაობა მხოლოდ ახლა დაიწყო და იმდენად კარგად, რომ სამომავლო იმედიც გავიჩინა. როცა იმედია, მაშინ მოთხოვნაც მეტია. ამიტომ ითხოვს მაყურებელი ჩვენგან გამარჯვებას, მაგრამ პროცესების დაჩქარებას ვერ მოვახერხებთ. მეურა, სწორი გზით მივდივართ. ბევრი გაკეთდა საზღვარგარეთ ჩვენი რაგბის აღიარების მხრივაც. მთავარია, საქმემოლულმა კრიტიკოსებმა „ოცნების კომპიების“ აგება არ მოგვითხოვონ. რაგბის კავშირმა ყველაფერი გააკეთა ნაკრებისთვის. ჩვენც და ნაკრებიც ერთად ვიზრდებით და თუ კავშირს რაიმე შეეშალა, ეს გამოუცდლობის ბრალია.

ირაკლი თამაძე



გია ლაბაძე ტონგელი მეტოქის მარწუხებში

არასკონფერანცია

ხელით, ხელით ითამაშეთ!

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სტუმართა გუნდის კონსულტანტი დევიდ ვატერსტონი უკმაყოფილო იყო შეგირთა თამაშის ხარისხით და მატჩის შემდგომ გასახველში გვიჩვენა იმისი. ასეთი თამაშით შემდგომ ეტაპზე იქნებ ვერც ვძლიოთ მეტოქესო. მისი გულისწყრომა მორკინალთა თამაშით იყო გამოწვეული, რადგან პოლანდიელებს და კორეელებს ქართველების დარი შერკინების ხაზი არ ჰყავთ, მაგრამ ბევრები ბორჯღალოსნებზე გაცილებით ძლიერები არიან. ასე რომ, შემდგომ ეტაპზე ბევრი რამ ტონგელ მორკინალებზე იქნება დამოკიდებული.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ქართველთა მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებოძემ აღნიშნა, რომ მონარულია ჩვენებმა ისეთი ძლიერი მეტოქის დამარცხება რომ შეძლეს, როგორც ტონგელები არიან — „თქვენი თავად ნახეთ, რას წარმოადგენს ტონგის ნაკრები. მათ, ჩვენგან განსხვავებით, ძალიან ძლიერი უკანახაზელები ჰყავთ. ამიტომაც სავსებით ლოგიკურია, რომ შემდეგ ეტაპზე ისინი გავიდნენ. მინდა, მივეულოცო მათ ეს წარმატება“.

ქართველთა ფრანგი დამრიგებლის კლოდ სორელის აზრით, გუნდმა ვერ შეძლო მწვრთნელის დავალების შესრულება — „თამაშის წინ მორაგბეებს გარკვეული დავალები მივეცი, რომელთა შესრულებაც მათ, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს. ჩვენი სურვილი იყო, გუნდის თამაში გაწინასწორებული ყოფილიყო მორკინალებსა და სამეოთხედელებს შორის, მაგრამ ასე არ გამოვიდა. თამაშის ტაქტიკის შეცვლა რომ შეგვეძლებოდა, უკეთეს შედეგს მივაღწევდით. მაგრამ უკანახაზელების „წყალობით“ ეს არაფრით მოხერხდა. თან ერთიცაა, მობურთალები, უკანა-

ხაზელებზე მაქვს საუბარი, უნდა გათავისუფლდნენ შინაგანი წნეხისგან, თითქოს მათ არ შეუძლიათ ხელით კარგად თამაში. ნაკრების მომავალს რაც შეეხება, უზარმაზარი სამუშაოება ჩასატარებელი მოთამაშეთა საერთო დონის ასამაღლებლად. მე ვთვლი, რომ ეს პროცესი დაწყებულია და იგი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“.

ბევრა სუსტი თამაშის გამო ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელის მისამართით საყვედური გაისმა, ნიკა იურიანი შემაღებლობაში რატომ არ შეიყვანაო. თუმც მწვრთნელის თქმით, „ბერიუთა“ მატჩის წინა დღესდა დამთავრებამდე იქნებ შეეძლოდა და სასურველ ფორმაში ვერ იყო.

კიდევ ერთი, რითაც სტუმართა გუნდის სამხრეთაფრიკელი კონსულტანტი უკმაყოფილო დარჩა, მსაჯობა გახლდათ. მისი აზრით, დიდუ მენემ არ მისცა მორაგბეებს ლაი ბურთაობის საშუალება, რაც ქართველთა წისქვილზე ასახმა წყალს. თუმცა დაამატა, რომ ქართველებს კარგი გუნდი ჰყავთ და ბევრების თამაშის ხარისხის გაუმჯობესებით დიდ შედეგებს მიაღწევენ. რაგბში გარკვეული მაყურებელი შეაძინედა, როგორც ეშმაკურად გვიმღიღნენ ტონგელები შეტევებს, რისთვისაც დაუსჯელობი დარჩნენ. არადა, სასჯელით მათთვის მოთამაშის 10 წუთით გაძევება იყო გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში კი ქართველ მორკინალებს ნამდვილად ვეღარ გაუქლავდებოდნენ და იქნებ სასურველი ანგარიშითაც მოგვეყო. ვატერსტონმა ამ საკითხზე საუბარს ოსტატურად აარიდა თავი და განაცხადა, ვიდუფირის ნახვის გარეშე ვერაფერს ვიტყვით.

გაბატა თორთაძე



ზაზა ლეფაგა თანაგუნდელებს მატჩის ბოლოს დაეხმარა



ქართველებმა ტონგელები წვისისამებრ, ტაშით გააცილეს

27 მარტი 21 თბილისი ვერის ბაღი ტური
ქოლსა 71:101 ღინაძე
I ტაიმი 27:47
ქოლსა: არველაძე (2), ძიძიგური (6), ქარუმიძე (14), კვიციანი (14), უგრეხელიძე (18); ფლენტი (5), კვაჭაძე (8), ფენდერავა (2), ბერიკაშვილი (2)
ღინაძე: ნიკოლაძე (27), მაისურაძე (19), შანიძე (8), სანიკიძე (9), კილაძე (11); ახოშვილი (2), აბულაძე (5), ნიკლაური (20)
მსპჯპი: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

27 მარტი 21 თბილისი ვერის ბაღი ტური
შვპარაძე 70:99 მანანი
I ტაიმი 39:53
შპპარაძე: ხობელია (10), კახანჯიანი (10), მოისწრაფიშვილი (12), გავნიძე (10), ლენიფაძე (7); მესხი (12), ოქრიაშვილი (5), კერძაია (4)
მანანი: დ. ბერიშვილი (16), ი. ბერიშვილი (33), ანდლუაძე (11), ნაცვლიშვილი (4), მჭედლოშვილი (2); რიყინაშვილი (2), დავარაშვილი, ლასარეიშვილი (8), ფერიშვილი (23)
მსპჯპი: როლანდ გელოვანი, ლაშა თოიძე
დელეგატი: აკაკი მგერელიძე

27 მარტი 21 თბილისი ვერის ბაღი ტური
სტუ 87:109 ოსუ
I ტაიმი 47:53
სტუ: მოისწრაფიშვილი (3), ტულუში (3), ლოსაბერიძე (6), ციციტიშვილი (17), ოთიურიძე (21); გავნიძე (5), ნაცვლიშვილი (7), ჩერქეზიშვილი (15), მინაშვილი (2), მიქაძე (8)
ოსუ: ვეფხვაძე (21), ნონელია (21), მარკოიშვილი (27), ქარაბაჯი (24), ხელაშვილი (7); არსიაშვილი (3), მშვილდაძე, მგალობლიშვილი (6)
მსპჯპი: ვია მოლოდინაშვილი, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქურიძე

27 მარტი 21 თბილისი ვერის ბაღი ტური
ასპ 89:116 აპოტი
I ტაიმი 38:55
ასპ: ნათაძე (5), აკოლაშვილი (5), პაპასკირი (10), გელაშვილი (24), ნუცუბიძე (20); უჩუშბეგაშვილი (1), ალაფიძე, ყყონია (9), ქართველიშვილი (8), ნოზაძე (7)
აპოტი: ფლენტი (4), გაბისონია (7), გოგობერიშვილი (11), ბაბიაშვილი (22), ჯაფარიძე (26); ბერუაშვილი (25), გოგოლაძე (10), ჩაჩუა (2), დანელიანი (5), კოჭლამაზაშვილი (2), ჯიმშელიშვილი (6)
მსპჯპი: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

27 მარტი 21 თბილისი ვერის ბაღი ტური
პილა 95:101 სდასუ
ძირითადი დრო 85:85, I ტაიმი 43:35
პილა: ტურაშვილი (13), აბრამიძე (5), დავითულიანი (11), ჩუბინიძე (17), ორმოცაძე (12); კორძაძე (12), უსტიაშვილი (3), კოკოლიშვილი (22)
სდასუ: თორთლაძე (20), უდილაური (42), ჩხეიძე (3), ქეჭვიშვილი (2), მაჭარაძე (19); ხარაძე, აბულაძე (9), ორჯონიკიძე (2), გიგაშვილი (4)
მსპჯპი: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: როლანდ ხომერიკი

დაკარგული დროის ძიებაში

წუხს ეს შეხვედრები თავისი პრინციპულობით გამოირჩევა და, ბუნებრივია, მოსათხოვრივ მეტია. „ვითა“ და სდასუ ამ გათამაშებაში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და აქედან ორჯერ გამარჯვებულის ვინაობა ოვერტიმში გადარჩა. ადრინდელი განსხვავებით, ამჯერად სტუდენტებმა იმდენი დამატებითი დრო მიანიჭებინეს მეტროს 2:1.

ამ მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ, სდასულმა წარმატებას ვერაწიო იწინასწარმეტყველებდა. „ვითა“ უფრო სწრაფად და გაზრდილად მოქმედებდა მოედანზე ტრავმირებული დავითულიანი, ჩუბინიძე და ორმოცაძე იოლად უსწორდებოდნენ მეტოქის დაცვას, რომელმაც თავის მხრივ სამქულიანებზე გადაიტანა აქცენტი. შუაგული ტაიმისთვის ჩემპიონები ათქულას — 2:11 — იგებდნენ და ამ სხვაობას კარგა ხანს ინარჩუნებდნენ კიდევ, მაგრამ ახლა შოთა უდილაური ამოქმედდა ჩინებულად, რაც სხვაობას საგრძობად დაეცო.

ქმედების წყალობით მანსი აღარ დაუტოვეს „ვითას“. სტუდენტური ღერძი სტუ-ოსუ თვით ამ უნივერსიტეტების რეპტორებმა რამაზ ხურთაძემ და როინ მეტრეველმა დაფასეს, თუმცა ამ უკანასკნელის ვერის ბაღში გამორჩეულად უფრო ფეხბურთელი გამოდგა თავისიანებისთვის, ვიდრე მისი ტექნიკოსი კოლეგის.

კა უნდის შეტევებსაც ორგანიზატორობდა და დაცვამც უნაკლებ ირჯებოდა. ახალბედებს არც გამოცდილებამ ქარაბაჯმა, წოწვლიამ და ხელაშვილმა გაუცრუეს იმედი და მატჩის ბედიც ვადაძლე ადრე გადაწყდა.

სდასუ: ეს აქოტი რა ბაშისდა?!

28 მარტი 22 თბილისი ვერის ბაღი ტური
შვპარაძე 70:79 ასპ
I ტაიმი 38:46
შპპარაძე: კახანჯიანი (32), ხობელია, მოისწრაფიშვილი (12), გავნიძე (7), ლენიფაძე (9); მესხი (10)
ასპ: ნათაძე (24), ნოზაძე, ქართველიშვილი (14), გელაშვილი (11), ნუცუბიძე (9); პაპასკირი, ფსუტური (4), აკოლაშვილი (7), ალაფიძე (6), ყყონია (4), ნივნივაძე (4)
მსპჯპი: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

28 მარტი 22 თბილისი ვერის ბაღი ტური
ოსუ 103:85 ქოლსა
I ტაიმი 47:43
ოსუ: ვეფხვაძე (8), ნონელია (2), მარკოიშვილი (7), ქარაბაჯი (29), ხელაშვილი (5); არსიაშვილი (5), მშვილდაძე (2), მგალობლიშვილი (25)
ქოლსა: არველაძე (10), კვაჭაძე (13), ძიძიგური (2), კვიციანი (9), უგრეხელიძე (34); ფლენტი, ქარუმიძე (15), ბერიკაშვილი, ვაშაკიძე (2)
მსპჯპი: ლაშა თოიძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: ნოდარ დარაბეგლიძე

28 მარტი 22 თბილისი ვერის ბაღი ტური
აპოტი 94:92 სდასუ
I ტაიმი 47:33
აპოტი: ფლენტი (10), გაბისონია (1), გოგობერიშვილი (37), ბაბიაშვილი (8), ჯაფარიძე (24); ბერუაშვილი (9), კოჭლამაზაშვილი (3), ჩაჩუა (2), ჯიმშელიშვილი
სდასუ: თორთლაძე (23), უდილაური (30), ჩხეიძე (7), ქეჭვიშვილი (2), მაჭარაძე (14); გიგაშვილი (1), ორჯონიკიძე (5), აბულაძე (6), არჩვაძე
მსპჯპი: ვია მოლოდინაშვილი, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქურიძე

28 მარტი 22 თბილისი ვერის ბაღი ტური
მანანი 88:95 სტუ
I ტაიმი 45:48
მანანი: დ. ბერიშვილი (23), ი. ბერიშვილი (18), ანდლუაძე (6), ლასარეიშვილი, ფერიშვილი (25); ნაცვლიშვილი (6), მჭედლოშვილი (10)
სტუ: გავნიძე (14), მიქაძე (4), ლოსაბერიძე (9), ნაცვლიშვილი (14); ოთიურიძე (6); სუხიშვილი (2), ტულუში (3), მოისწრაფიშვილი (4), ჩერქეზიშვილი (5), მინაშვილი (6), ციციტიშვილი (28)
მსპჯპი: როლანდ ხომერიკი, როლანდ გელოვანი
დელეგატი: აკაკი მგერელიძე

28 მარტი 22 თბილისი ვერის ბაღი ტური
ღინაძე 57:92 პილა
I ტაიმი 26:36
ღინაძე: მაისურაძე (24), ნიკოლაძე (11), სანიკიძე (2), შანიძე (8), კილაძე (10); ნიკლაური (2)
პილა: უსტიაშვილი (2), აბრამიძე (10), კოკოლიშვილი (25), ორმოცაძე (15), კორძაძე (2); ჩუბინიძე (10), ვაშაკიძე (6), დავითულიანი (15), ჭირაქიაძე (5), ახალკაცი (2)
მსპჯპი: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქურიძე

კვირადღის მატჩები მეტ-ნაკლებად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ხუთივე შეხვედრის ბედ მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლოს გადაწყდა. განსაკუთრებით თვალშისაცემი, ბუნებრივია, უხერხული მეტოქეების, რუსთავეის „აზოტისა“ და სდასუს პაექრობა იყო. ამ გუნდების დაბრუნებამ ვოლეგის პრინციპული გახლდათ. რუსთაველებმა სტუდენტებს ორჯერ აართვეს მესამე საბრძოლო ადგილი, შარშან კი პლეი-ოფში ფინალის გზაც გადაუღობეს. გამონაკლისი არც წლევედელი ჩემპიონატია, „აზოტმა“ მესამედ სძლია მეტოქეს, თუმცა, როგორც ყოველთვის, მათი შეხვედრა ამჯერადც დრამატული იყო და გამარჯვებულს ბოლო წამებზე გამოვლინდა.

ირაკლი ჯაფარიძის ძალისხმევით რუსთაველთა უპირატესობა გამოიკვეთა. სდასუ მდევრის როლში აღმოჩნდა. „ვითასთან“ შეხვედრის არ იყოს, სტუდენტთაგან კვლავ შოთა უდილაურმა იტვირთა ლიდერობა, ორჯერ შორიდან ჩააგდო ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. რუსთაველები დაცვაში გააქტიურდნენ. ოთხწუთიან მონაკვეთში ათი უპასუხო ქულა მიითვალეს და ტაიმის მიწურულს ილია კოჭლამაზაშვილის სამქულიანი 14 ქულით დაწინაურდნენ.

უპირატესობა ხელში შემოდნათ და მატჩის მიწურულს მათი გამარჯვება სათუო გახდა. მეხუთედ დაჯარიმდა სდასუს ლიდერი დავით თორთლაძეც. მის მაგივრად ლალო აბულაძე გამოჩნდა, რომელმაც ბოლო წუთნახევარში ორჯერ ჩააგდო სამქულიანი და ანგარიშიც გაათანაბრა. მატჩის დამთავრებამდე 27 წამით ადრე გოგობერიშვილის წინააღმდეგ სდასუ დაჯარიმდა. რამაზმა ორივე საჯარიმო ჩააგდო. სდასუს კი დრო აღარ ეყო...



საწყისი ჩემპიონმა 22:0 მოიგო. დინამოელებმა მხოლოდ მე-8 წუთზე შემდგეს ბურთის ჩაგდება. მაყურებელსაც გაუცრუვდა მოლოდინი — არათანაბარი ბრძოლა იხილა. „ვითა“ მეტოქეზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა.

სწრაფვა ნამდვილად აკლდათ. არანაკლებ თვალსაჩინო გახლდათ აუტსაიდერების — „შევარდენისა“ და ასკ-ის შეხვედრაც. სისხამ დილით დაწყებულ მატჩში არმიელებმა ბოლოსდა ბოლოს მეტოქე და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს.

Table with 6 columns: Name, Score, and Phone numbers. Includes sections for 'ასპოტი 22 21 11921:1583 43', 'სტუ 22 16 61756:1670 38', etc.

ჩინელები რუსებს მოაბეზრებენ, თავად კი შეიძლება თავი წააბოს

ჩინეთი ის ქვეყანაა, ხმას რომ რუსეთის სასარგებლოდ იძლევა ხოლმე, და მერე რა, რომ ხანდახან ეს ხმა ნატოს წინააღმდეგაა მიმართული, ხანაც — ფრანგი მეფეფურსრიალეებისა? თუკი განათლებულ დასავლეთში ჩინეთს სერბიის შინაგან საქმეებში ჩაურევლობისთვის ხიბიშს უგმობენ, ჩინელ მსაჯ რენ ჰონგ-გუოს პელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრანგული წყვილის, მარინა ანისინასა და გვენდალ პეიზერას (მარცხენა ქვედა ფოტოზე) დაჩაგვრა ბრალდება. მათი ბოლო გასრილობის შემდეგ ჩინელს მალალი ქულები დაუწერია, მაგრამ შემდეგ რუსი მსაჯის, ალექსანდრ გორშკოვის აჯა შეუსმენია და ქულები ისე ჩაუსწორებია, რომ საბოლოო გამარჯვება რუსებს, ანჟელიკა კრილოვასა და ოლეგ ოვსიანიკოვს (მარცხენა ზედა ფოტოზე) ერგოთ... პოდა, ფრანგებსაც აულიათ და ფიგურული სრილის საერთაშორისო სახლმართველობაში საპროტესტო უსტარი შეუტანიათ. თუკი უსტარი შეიწყნარეს, ჩინელ მსაჯს გაციბიბირება, ანჟელიკასა და ოლეგს კი — დაუმსახურებლად მითვლილი ვიდეოს ახევა მოელოთ... აი, პირ და, არა მარტო პირმშვენიერ მარია ბუტირსკაიას (მარჯვენა ფოტოზე) კი არაფერი ეტუქრება — მან თავისი ინდივიდუალური ოქრო ყოველგვარი ხიმაკლობის გარეშე მოიგო და მუწუკიან ამერიკელს, მიშელ კვანს ერთი ფიორა ხელსაჭიდიც არ დაუტოვა... ბრინჯაო რუსმავე, იულია სოლდატოვამ აიღო.



მანდელას უყვარს, მანდელა უყვარს

სამხრეთი აფრიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა სპორტის გამორჩეული ქომაგი ბრძანდება, ხოლო დედამიწის ყველა შავკანიანი სპორტსმენი — მისი საპართლიანი საქმის ქომაგი... დიადი სპრინტერები მაიკლ ჯონსონი და მერიონ ჯონსი თავიანთ ორგანიზაციას სამხრეთაფრიკულ ტურნეს ასეთ მაჟორულ ნოტაზე ასრულებენ.



ნატო, შე დებენერატო!

იყო დრო და მომენტი, დრავან სტოიკოვიჩის თამაშით მოხიბლულნი მისი უპირობო ქომაგი ვიყავით. მაგრამ დღეს მომენტი რადიკალურად შეცვლილია — ველარც დრავანი ბრწყინავს ძველებურად და ვერც ჩვენი დემოკრატიული ქვეყანა დგას ბარიკადების მისეულ მხარეზე... მაგრამ ჯერ ერთი და, როგორც ბრძენი ხალხი ამბობს, ყველამ თავის აქოთებულ ბარიკადს მიხედოს, მეორეცა და — იაბონურ „ნავლია კრამპუსში“ მოთამაშე დრავანისათვის ნატო საყვარელი გოგონა კი არა, ერთი პირისხლიანი მეძაფია. ამიტომაც, გოლს გაიტანს თუ სხვას გაატანინებს, სერბი საკლუბო კვართს იწევს და ნატოს თავის მკერდზე მიწერილი ზემორემოხმობილი სიტყვებით მიმართავს — ნატო, შე დებენერატო!



ბასტრომ ამერიკას ხელი ჩამოართვა



ამერიკალთა და კუბელთა ორმოცნობიანი ურთიერთსაბეისბოლო ყაბზობას გასულ უქმეებზე ეშველა. ჰავანაში სალალობოდ ჩასულმა „ბელტიმორ ორიოლზმა“ კეტი კუბის ეროვნულ ნაკრებთან გადაავჯარედინა და ეს ისე დამაჯერებლად გააკეთა, რომ 3:2 იმარჯვა კიდევ. კუნძულის მსცოვანმა უსტაბაშმა ფიდელ კასტრომაც მომხედურები დიდის პატივისცემით დარამერუმით მიიღო და — აბა, გასაყოფი რა გვაქვსო — მსოფლიო პროლეტარიატის ერთადერთი მეოხისათვის შეუფერებელი ასეთი ლადავით მიმართა... ფოტოზე მის მაღლიან მარჯვენას ბელტიმორელთა დამჭერი სკოტ ერიკსონი აქნევს, სადღაც მარჯვნიდან კისკოტის მენეჯერი, რეი მილერი იცქირება.

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონცხვერია
დირექტორი ბიორბი ოქრომჭამლიძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
აპოთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მანანა ბუნიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოჭორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ ბრატჩიშვილი
ფეხბურთის რედაქცია, ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაქიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზენა სანიკიძე

უტოლორი განყოფილება ლამა გოდუაძე, დავით კოხვირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, ვაითხ თალაკვაძე, პაატა თითაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ანჯელედანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობია-ნი კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუბაშვილი, ნინო დე-ვაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარია ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაჯვარის
ბაგზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29